პროექტის გეგმა

სასწავლო თემის ავტორი	
სახელი და გვარი	ანა მაზიაშვილი
რაიონი	სიღნაღი
სკოლა	სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელ ნუკრიანის #1 საჯარო სკოლა
ქალაქი	

თემის მონახაზი

დედამიწა ავადაა.

თემის შინაარსი

მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას დედამიწაზე არსებული ეკოლოგიური პრობლემების შესახებ.შექმნიან დედამიწაზე მოსალოდნელი საფრთხეების ამსახველ ნახატებს, ჩაატარებენ კონფერენციას და გააცნობენ საზოგადოებას იმ საფრთხეებს ,რაც ემუქრება კაცობრიობას ადამიანის საქმიანობის შედეგად.

საგანი
ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

დონე/კლასი

I საფეხური. 5-6 ,კლასის მოსწავლეები.

განხორციელების დროის ჩარჩო

1 თვე. 2019წელი. ოქტომბერი.

თემის საფუძვლები

ნ.V.11.მოსწავლეს შეუძლია გარემოსდაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობის დასაბუთება და მათში აქტიური

მონაწილეობის მიღება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს ნარჩენების ბუნებაში დატოვების შედეგებზე;
- საუბრობს საყოფაცხოვრებო ნარჩენების მეორადი გამოყენების გზებსა და მათ მნიშვნელობაზე ბუნებრივი რესურსების დაზოგვაში;
- აღწერს ადამიანის აქტივობებს და განსაზღვრავს საკუთარ მონაწილეობას ბუნებრივი რესურსების აღდგენის საქმეში (*მაგ., ხეების დარგვა*);
- მონაწილეობს გარემოსდაცვით ღონისძიებებში (კონკურსები, აქციები, ვიქტორინები).

ნ.VI.10.მოსწავლეს შეუძლია გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება, მათი მნიშვნელობის აღწერა და დასაბუთება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს ბუნებაში ადამიანის უხეში ჩარევით (*მაგ., ტყეების ჩეხვა, არასწორი მორწყვა, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება*) გამოწვეულ უარყოფით შედეგებს, აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს მათი თავიდან აცილების საშუალებებზე;

- იყენებს სხვადასხვა წყაროს (*მაგ. საქართველოს წითელი ნუსხა, წითელი წიგნი*) დაცული ობიექტების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად და მონაწილეობს გარემოსდაცვითი იდეების პოპულარიზაციაში;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ბუნებრივი რესურსების უკანონო გამოყენების მიმართ სააგიტაციო პლაკატების და ბუკლეტების საშუალებით.

ის ტექნ. V.5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ციფრული საშუალების შერჩევა და გამოყენება ინფორმაციის მოძიებისას და კვლევის პროცესში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ციფრული მასალის სხვადასხვა ფორმატის მქონე საცავებში (მაგალითად: მონაცემთა ბაზა, ინტერნეტი, ფაილების სისტემა, ფაილი) ძიებისას, შეარჩევს და იყენებს შესაბამის ციფრულ საშუალებებს;
- ინფორმაციისა და ციფრული მასალის ძიებისას იყენებს გავრცელებულ საძიებო სისტემებს (მაგალითად: შეუძლია საძიებო სიტყვების, ფრაზებისა და მათი კომბინაციების ადეკვატურად შერჩევა და გამოყენება, ეფექტიანად იყენებს საძიებო სისტემის ინტერფეისს);
- ინფორმაციის სანდოობის დასადგენად, ადარებს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას;
- იყენებს ისტ-ს იდეებისა და ინფორმაციის ორგანიზებისას;
- ახენს მოძიებული ციფრული მასალისა და ინფორმაციის ინტერპრეტაციას და აფასებს ამ მასალას იმის მიხედვით, თუ რამდენად სასარგებლო, სანდო, ადეკვატური და ზუსტია იგი;
- უთითებს ინფორმაციისა და ციფრული მასალის წყაროებს ან/და ავტორს.

ის ტექნ. VI.1. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ციფრული საშუალების შერჩევა და გამოყენება ციფრული მასალის შექმნისას.

- აუდიტორიის მოთხოვნების და საკუთარი (ან ჯგუფის) მიზნების გათვალისწინებით, ამზადებს პრეზენტაციას/სლაიდებს საკუთარი (ან ჯგუფის) მოსაზრებების წარმოსაჩენად ან მუშაობის შედეგის საჯემონსტრაციოდ;
- გაიაზრებს განსხვავებას პრეზენტაციასა და სხვა სახის ვიზუალურ და საკითხავ მასალას შორის;
- ახდენს ტექსტური, გრაფიკული და აუდიო მასალის ეფექტიანად კომბინირებას მიზნის შესაფერისი ციფრული მასალის შექმნისას;
-

ის ტექნ. VI.3. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ციფრული საშუალების შერჩევა და გამოყენება ინფორმაციის მოძიებისას და კვლევის პროცესში

- ინფორმაციის და ციფრული მასალის ძიებისას ეფექტიანად იყენებს გავრცელებული საძიებო სისტემების შესაძლებლობებს: ფლობს საძიებო სისტემის მაღალი დონის შესაძლებლობებს და საძიებო ფრაზების სინტაქსს. აფასებს და მსჯელობს ერთი სისტემის უპირატესობაზე მეორესთან შედარებით;
- აფასებს (მაგალითად, აფასტურებს ან უარყოფს) ინფორმაციის სანდოობას; მსჯელობს ინფორმაციის სანდოობის შესახებ. კრიტიკულად აფასებს მონაცემებს გამოყენების, ადეკვატურობის და აკურატულობის თვალსაზრისით;

ს.გ.V.4. მოსწავლეს შეუძლებების და იდეების ასახვა ნამუშევარში.

- ირჩევს გამომსახველობით ხერხებს და მასალას ნამუშევარში ჩანაფიქრის უკეთ გადმოსაცემად;
- გადმოსცემს ნამუშევარში გარკვეულ იდეას (მაგალითად, ქმნის პლაკატს ეკოლოგიურ ან სხვა თემაზე);

ს.გ.V.6. მოსწავლეს შეუძლია ითანამშრომლოს სხვებთან, როგორც საკუთარი, ისე საერთო მიზნის მისაღწევად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თანამშრომლობს სხვებთან საერთო პრობლემის გადაჭრისას;
- ითხოვს დახმარებას საკუთარი იდეის განსახორციელებლად;
- ეხმარება სხვებს კონკრეტული ამოცანის შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში ითხოვს მათგან დახმარებას;
- მონაწილეობს ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში.

ს.გ.V.9. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს გამოფენაში;
- მონაწილეობს სპექტაკლის დადგმაში;
- მონაწილეობს სხვადასხვა სახის აქციებში (მაგ. გარემოს დაცვა);

ს.გ.VI.1. მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევრის შექმნისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვადასხვაგვარი მონასმებით და ეფექტებით გადმოსცემს განწყობილებას და ქმნის ფაქტურებს;
- იყენებს ფერთა გრადაციას;
- იყენებს კონტრასტულ და მონათესავე ფერებს;
- შუქ–ჩრდილის, ათინათის და დაცემული ჩრდილის საშუალებით გამოსახავს საგანთა მოცულობას;
- ქმნის რთულ ორნამენტს ფორმების, ფერების, ხაზების, მონასმების გამეორებით;
- აკვირდება და ასახავს საგანთა თანაფარდობას და პროპორციას (მარტივად);
- ხატავს სივრცეს პერსპექტივის ძირითადი კანონების გამოყენებით (წინა, შუა და უკანა პლანი, ნახევარტონები.);
- ქმნის მრავალფიგურიან კომპოზიციებს.

ს.გ.VI.4. მოსწავლე აცნობიერებს სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს და შეუძლია მათი გამოსახვა ნამუშევარში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის მისთვის საინტერესო რამდენიმე მოვლენას და ცდილობს საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემას ნამუშევარში;
- იღებს იდეებს სხვა საგნებში განვლილი მასალიდან და გამოსახავს მათ ნამუშევარში;
- ნამუშევარში გადმოსცემს ბუნების მოვლენებზე დაკვირვების შედეგებს;

ს.გ.VI.9. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლე:

- განსაზღვრავს სხვადასხვა ღონისძიების თემას და მიზანს;
- აწყობს გამოფენას;
- მონაწილეობს სპექტაკლის დადგმაში;

აწყობს და მონაწილეობს სხვადასხვა სახის აქციებში (მაგ. აქცია გარემოს დაცვის თემაზე)

მოსწავლეების ამოცანები/სწავლის შედეგები

მოსწავლეები შეისწავლიან ბუნებაში ადამიანის საქმიანობით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს. გააცნობიერებენ ადამიანის როლს დედამიწისა და მასზე არსებული ცოცხალი ორგანიზმების დაცვის საქმეში. აღწერს იმ ღონისძიებებს, რომელიც უნდა გაატარონ ადამიანებმა ,რათა აღდგეს ბუნებრივი რესურსები. აქტიურად ჩაერთვებიან ბუნების დაცვის აქტივობებში და ამასვე მოუწოდებს სხვებსაც. განუვითარდება გარემოზე მზრუნველობითი დამოკიდებულების გრძნობა, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები.

მიმართულების მიმცემი საკვანძო შეკითხვები

ზოგადი კითხვა	*შეუძლია ადამიანს სამყაროს შეცვლა?*
თემატური კითხვები	რატომ აღმოჩნდა დღევანდელი მსოფლიო ეკოლოგიური პრობლემების წინაშე? *რომელ ეკოლოგიურ პრობლემებს დაასახელებთ?*
შინაარსობრივი კითხვები	*ადამიანის რომელი საქმიანობები უქმნის საფრთხეს გარემოს?* *რა არის ნაგავი?* *რა უარყოფითი შედეგები ახლავს გარემოს დანაგვიანებას?* *რა საფრთხეს უქმნის გარემოს ფაბრიკა-ქარხნების გამონაბოლქვი?* *ტრანსპორტი ქმნის თუ არა გარემოს დაბინძურების საფრთხეს ?* *როგორ ავიცილოთ თავიდან გარემოს დაბინძურება?* *რა შედეგი მოაქვს უკანონო ნადირობასა და თევზჭერას?* *როგორ დავიცვათ ცხოველები და მცენარეები გადაშენებისაგან?*

შეფასების დროის ჩარჩო

პროექტზე მუშაობის დაწყებამდე	**მოსწავლეები მუშაობენ პროექტებზე და ასრულებენ დავალებებს**	**პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ**

დიაგრამის;“ვიცი,მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ გამოყენება.	პროექტის გეგმის შედგენა. პროექტის მსვლელობაზე დასაკვირვებლად. მონიტორინგის ჯგუფის შექმნა.	ჩანაწერები, ფოტოები, დღიურები.	თვითშეფასებისა და ჯგუფის შეფასების რუბრიკები	კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოების მიერ მოსწავლეთა მ იერ შექმნილი პროდუქტის შეფასება.	მოსწავლეების მიერ საკუთარი პროდუქტის შეფასება.

შეფასების/შეფასების ინსტრუმენტების მოკლე მონახაზი

დიაგრამის „ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე „ საშუალებით დავადგენ მოსწავლეთა ცოდნასა და ინტერესებს აღნიშნული პროექტის ირგვლივ და აღნისნულის გათვალისწინები შევადგენ პროექტის გაგმას.პროექტის გეგმის საშუალებით მოსწავლეები გაეცნობიან მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოებსა და პროექტის მიზნებს. შეისწავლიან გარემოზე ადამიანის საქმიანობით გამოწვეულ უარყოფით ფაქტორებს., შეიუმუშავებენ გარემოს დაცვით ღონისძიებებს. დარგავენ ხეებს , შექმნიან „წითელი წიგნის“ სტენდს, მოაწყობენ ნახატების კოლაჟს,შექმნიან ბუკლეტს. დაასუფთავებენ გარემოს. მოაგროვებენ ვიდეო და ფოტომასალას პროექტის ფარგლებში. აწარმოებენ ჩანაწერების დღიურს.პროექტის განხორციელების მანძილზე მოახდენენ ჩატარებული სამუშაოების შეფასებას,ამისათვის გამოიყენებენ თვითშეფასებისა და ჯგუფზე დაკვირვების რუბრიკებს. პროექტის დასრულების შემდეგ მოხდება პროექტის შეფასება კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალების მიხედვით როგორც საზოგადოების ასევე მონიტორინგის ჯგუფის მიერ .

საბაზისო უნარ-ჩვევები

აქვთ გარკვეული წარმოდგენები ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. ფლობენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების ტექნიკას, შეუძლიათ საკუთარი გრძნობების , იდეების წარმოდგენა სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებებით .

სასწავლო პროცედურები

I ჯგუფი(5 მოსწავლე.)-ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით მოიძიებენ ინფორმაციას იმ ეკოლოგიური პრობლემების შესახებ ,რომლებიც საფრთხეს უქმნის დედამიწასა და მასზე არსებულ ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლეს. გაეცნობიან აგრეთვე ,საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე გარემოს დაცვით ღონისძიებებს და ელექტრონულად დაამუშავებენ მიღებულ ინფორმაციას .

II ჯგუფი(5მოსწავლე) -წინასწარ შედგენილი კითხვარების საშუალებით აიღებენ ინტერვიუს ექიმისაგან იმ დაავადებების შესახებ, რაც შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დაბინძურებამ და შექმნიან ელექტრონულ
ჯგუფი (5 მოსწავლე.)

ჯგუფი(5წევრი) - მოპოვებული ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიმუშავებენ გარემოსდაცვით ღონისძიებებს და შექმნიან ბუკლეტებს საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით.

5-6 კლასის მოსწავლეები ინდივიდუალურად შექმნია ნახატებს, სადაც გადმოსცემენ საკუთარ დამოკიდებულებას ეკოლოგიური პრობლემების მიმართ და საკლასო ოთახში შექმნიან კოლაჟს:“დედამიწა ავადაა“ .

5-6 კლასის მოსწავლეები წარმოადგენენ სცენარს „საქართველოსწითელ წიგნში „შეტანილი -გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ზოგიერთი მცენარისა და ცხოველის შესახებ , დახატავენ მათ და საკუთარი ნახატებით შექმნიან სტენდს „წითელი წიგნის ბინადარნი", რომელსაც მიუჩენენ სამუდამო ადგილს სკოლის დერეფანში.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეები გადარგავენ ხე- მცენარეების ნერგებს სკოლის ეზოში, ნერგების მოძიებაში დახმარებას გაუწევენ სოფლის სათემო ორგანიზაცია "ნუკრიანი" და სოფლის საკრებულოს წარმომადგენლები.

მოსწავლეები დაასუფთავებენ აგრეთვე, სკოლის მიმდებარე ტერიტორიას,რითაც შეიტანენ თავიანთ წვლილს გარემოს დაცვის საქმეში.

მოსწავლეები ჩაატარებენ კონფერენციას ,სადაც მოწვეულ სტუმრებს (მასწავლებლებს, მოსწავლეებს მშობლებს, სოფლის საკრებულოს და თემის წარმომადგენლებს) გააცნობენ მათ მიერ ჩატარებული სამუშაოების ელექტრონულ ვერსიებს პროექტორის საშუალებით.

პრეზენტაციისას გამოიყენებენ თითოეული აქტივობის ამსახველ ფოტომასალას. გააცნობენ ეკოლოგიურ პრობლემებს და ამ პრობლემების გადაჭრის გზებს. მოუწოდებენ საზოგადოებას დაიცვან ბუნება ,საკუთარი წვლილი შეიტანონ ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი გარემოს შექმნაში. უკეთ ინფორმირების მიზნით გადასცემენ ბუკლეტებს. მოსწავლეები მოხდენენ მათ მიერ ჩატარებული პროექტის შეფასებას,პროექტი შეფასდება ,აგრეთვე ,მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან შექმნილი მონიტორინგის ჯგუფისგან.
საბოლოოდ პროექტის შეფასების შემდეგ პროექტის განხორციელებაში აქტიურად ჩართულ მოსწავლეების ბუნებისმეტყველების კითედრა გადასცემს სიგელებსა და პრიზებს.

დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები	• *მივცემ მითითებებს ინფორმაციის მოძიების შესახებ;* • *გამოვიყენებ ზეპირ გამოკითხვას;* • *ნებას დავრთავ აირჩიოს პროექტზე მუშაობის მეთოდი და საშუალებები საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.*
მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები	• მივცემ თავისუფალ დავალებებს,დამოუკიდებლად მოიპოვებენ ინფორმაციებს, გაანალიზებენ და გამოიტანენ დასკვნებს; • დახმარებას გაუწევენ ჯგუფის წევრებს პროექტის მიმდინაერეობის პროცესში; • შეადგენენ ბუკლეტების ელექტრონულ ვერსიას; • მოახდენენ გაწეული სამუშაოების ანალიზსა და შეფასებას; • მოახდენენ პრეზენტაციას ფოტომასალის საშუალებით.

ტექნოლოგია – ტექნიკა , პროგრამები.

კომპიუტერი,ციფრული კამერა ,საბეჭდი მანქანა(პრინტერი) პროექტორი .ვორდის პროგრამა. ინტერნეტძიება. ფოტოსურათების დამუშავება

ბეჭდვითი მასალები	*სასკოლოსახელმძღვანელოები, ბროშურები.*
ინვენტარი/მასალები	*თაბახის ფურცლები, ფორმატის ქაღალდი, მცენარეთა ნერგები, ბარი 2, სათლი 2, პოლიეთილენის პარკები,ჰიგიენური ხელთათმანები.*
ინტერნეტრესურსები	***garemos-dabinzureb**a.blogspot.com/ https://sites.google.com/.../**garemos**.../dabindzur...*
სხვა რესურსები	*სკოლის საზოგადოება ,მშობლები, სოფლის სათემო ორგანიზაციის „ნუკრიანის „ და საკრებულოს წარმომადგენლები, სოფლის ექიმი.*